

2010

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დავების განხილვის საბჭო



საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
დავების განხილვის საბჭო



[სტატისტიკური ანგარიში]

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიერ 2010 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის სტატისტიკური მონაცემების ამსახველ დოკუმენტს.

ანგარიში მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის სამსახურის მიერ.

დოკუმენტში მითითებულ მონაცემთა წყაროდ გამოყენებულია საჩივრების აღრიცხვისა და მართვის საინფორმაციო სისტემაში დაცული ინფორმაცია.

2. საერთო მაჩვენებლები

2010 წლის განმავლობაში დავების განხილვის საბჭოში რეგისტრირებულია 1362 საჩივარი. ამავე წელს საბჭომ წარმოება დაასრულა 1263 საჩივარზე.


2010 წელს წარმოების ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელმა 37 დღე შეადგინა.

საბჭოს წინაშე სადავო თანხამ შეადგინა 690.541.066 ლარი.

3. საჩივრების დინამიკა


საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს პოპულარობა წლიდან წლამდე იზრდება, რასაც მოწმობს რეგისტრირებული საჩივრების რაოდენობა. 2011 წელს, ახალი საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული უფლებამოსილების გაფართოების ფარგლებში, ნავარაუდევია საჩივრების რიცხვის კიდევ უფრო გაზრდა.

რეგისტრირებული საჩივრების დინამიკა




საჩივრების რაოდენობის ზრდასთან ერთად გაიზარდა საბჭოს მიერ განხილული სადავო თანხის ოდენობაც¹:

რეგისტრირებული საჩივრების დინამიკა



საჩივრების რაოდენობის ზრდას არ გამოუწვევია საჩივრის განხილვის პროცესის გახანგრძლივება. 2010 წლის სხვადასხვა პერიოდში დიდი ოდენობის საჩივრების რეგისტრაციის მიუხედავად, საბჭოსა და მისი აპარატის რესურსების მობილიზების ხარჯზე, მოხერხდა მიმდინარე საჩივრების მაჩვენებლის კონტროლი.

მიმდინარე და დასრულებული საჩივრების ურთიერთშეფარდება




¹ მონაცემები მოცემულია მილიონ ლარში.

სამართალწარმოების ხანგრძლივობა

2010 წლის განმავლობაში საბჭოს მიერ საჩივრის განხილვის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ უმეტეს შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელი იყო პირველივე ზეპირი მოსმენისას ან განხილვის ერთი შეჩერებით, თუმცა იყო გამონაკლისებიც.


განხილვაზე დახარჯული დღეების ოდენობა



გადაწყვეტილებები

2010 წელს მიღებული გადაწყვეტილებებით მომჩივანთან მოთხოვნა 420 შემთხვევაში დაკმაყოფილდა, 666 მომჩივანს უარი ეთქვა, ხოლო 177 შემთხვევაში საჩივარი განუხილველი დარჩა მომჩივნის მიერ სხვადასხვა პროცედურული მოთხოვნის დარღვევის ან საგადასახადო შეთანხმების გაფორმების გამო.


საჩივრების დაკმაყოფილების კოეფიციენტი



რეგიონული ცენტრების მაჩვენებლები


2010 წელს დასრულებულ დავებზე ყველაზე ხშირად გასაჩივრებადი თბილისის რეგიონული ცენტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხდებოდა. ყველაზე ცოტა საჩივარი კი გურიის რეგიონული ცენტრის გადაწყვეტილებებიდან მომდინარეობდა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების რაოდენობა




თანხობრივი მაჩვენებლებით, გასაჩივრებული თანხის უმეტესი ნაწილი აუდიტის დეპარტამენტის მიერ შემოწმებულ ორგანიზაციებს დაერიცხათ, ყველაზე ნაკლები კი – ახალციხის რეგიონული ცენტრის დარიცხვებზე მოდის.


სადავო თანხა შემმოწმებლების მიხედვით



რაც შეეხება ცალკეული შემმოწმებლის გადაწყვეტილებების გაუქმების მაჩვენებლებს, უმეტეს შემთხვევაში, ყოველი იგი შემდეგნაირად გამოიყურება:




თანხობრივ ჭრილში შემმოწმებელი ორგანოების გაუქმებული დარიცხვების მაჩვენებელი შემდეგ სურათს იძლევა:



მომჩივნები

2010 წელს მომჩივანთა უმეტესი ნაწილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებმა და ინდივიდუალურმა მეწარმეებმა შეადგინეს:


მომჩივნები სახეობების მიხედვით



2010 წელს განხილული საჩივრებიდან ხარვეზი არცთუ დიდ რაოდენობაზე დადგინდა. ხარვეზის გამოსასწორებლად მომჩივნებს საშუალოდ 19 დღე დასჭირდათ.

ხარვეზიანი საჩივრების წილი

■ ხარვეზიანი საჩივრები ■ უხარვეზო საჩივრები



დავის საგნები

2010 წელს საბჭოს მიერ განხილულ საჩივრებში ჭარბობდა შემდეგი დავის საგნები:

1. არასწორად ნაწარმოები საგადასახადო აღრიცხვის გამო არაპირდაპირი მეთოდით განხორციელებული დარიცხვა;
2. ინვენტარიზაციისას გამოვლენილი აღრიცხავი საქონლისა და დანაკლისის გამო დარიცხული ჯარიმა;
3. საქართველოს საზღვარზე საქონლის უკანონო გადმოტანისათვის შეფარდებული სანქცია;
4. ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის არ არსებობის გამო დარიცხული თანხა;
5. საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მართლზომიერება;
6. ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული საწვავის არასწორად ჩამოწერის გამო განხორციელებული დარიცხვა;
7. საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების ანგარიშვალდებულ პირზე გაცემულად ჩათვლა;
8. შემოსავლების სამსახურის მიერ საჩივრის განუხილველად დატოვების მართლზომიერება;